ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

—

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . 3მ.50კ.
თითო ნომერი . . . . « 15კ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: შკოლების გახსნა გორის უეზდში. წერილი გურიიდამ. ალიბეგლოს შკოლა (ივერ. კორ.). —II. ქართველების ზოგიერთი ცრუ-მორწმუნოებანი.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა.—IV. წლევანდელ სათვლეზე (დასასრული).—V. სასამართლოს მატიანე, ზასულიჩის ქალის საქმე (შემდეგი).— VI. ბიბლიოგრაფიული ცნობა.—VII განცხადებანი.

საქართველოს მატიანე

გაზეთს კავკაზში დაბეჭდილია შემდეგი დიდად სასიხარულო ამბავი: „1871 წელს, სოფელს ახალქალაქს, გორის მაზრაში, სახელოსნო შკოლის გამართვას აპირებდნენ. ამისათვის 1874 წლის აქეთ თექვსმეტს ახალქალაქის გარშემო სოფლებს ფული შეჰქონდათ, სულ 1300 მან. წელიწადში. მაგრამ სახელოსნო შკოლა აქამდისინ არ არის დაარსებული, რადგანაც დიდი ხარჯი უნდა როგორც თვით შკოლის შენობას, აგრეთვე საჭიროა პანსიონის გამართვას. კიდევ ხუთი წელიწადი მაინც უნდა გავიდეს, რომ საკმაო ფული შეჰსდგეს. ამიტომ, იმ სოფლის საზოგადოებათა, რომელთაც სახელოსნო შკოლისათვის ერთმეოდათ ფული, ისურვეს ეხლავე ესარგებლათ შეკრებილის ფულით; და სახელოსნო შკოლის მაგივრად მოინდომეს რამდენიმე სასოფლო შკოლის გამართვა, მით უფრო რომ ბოლოს დროს მათ შორის გამოჩნდა საკმაო ხელოსანი, რომელთაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ამ მხრით მათი მოთხოვნილება. სახელოსნო შკოლა ვერც შეიძლებდა უკეთესთა ხელოსნების გამოწრთვნას, რადგანაც შკოლის წლიური შემოსავალი (1300 მან.), საკმაო არ იყო კარგად გამოცდილის და ნასწავლის ოსტატების მოწვევისათვის. ამის გამოისობით შკოლა იძულებული იქმნებოდა ისევ ადგილობრივი ხელოსნები მიეწვია, რომელიც რიგიანად სწავლებას ვერ შეიძლებდნენ.

„ტფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების უფროსმა პატივი სცა სოფლის საზოგადოებათა სურვილს და ამ წლის მარტს, გუბერნატორის ნება-დართვით, გაგზავნა თავისი თანაშემწე გორის უეზდში, რათა ამოერჩია უკეთესი ადგილები შკოლების გამართვისათვის. ამგვარად შკოლებისათვის ამორჩეულ იქმნენ შემდეგი სოფლები: 1) ხოვლე, 2) ახალქალაქი, 3) მეტეხი, 4) ღომი და 5) კავთისხევი.

„ხოვლის შკოლის შენახვაში მონაწილეობას მიიღებენ ხოვლისა და სოფ. ზემოხანდაკის საზოგადოებანი შკოლის წლიური ბიუჯეტი (შემოსავალ-გასავალი) იქმნება 333 მან. შკოლისათვის გამოსაზოგველი თავნი შეადგენს 1,332 მანეთს, რომელიც ორივე საზოგადოებას ოთხის წლის განმავლობაში შემოუტანიათ.

ახალქალაქის შკოლა შეინახება შემდეგ საზოგადოებათა მიერ: ახალქალაქისა, ერთაწმინდისა და ხოჩეთისა. შკოლის ბიუჯეტი არის 400 მან. წელიწადში, გამოსაზოგველი თავნი კი შედგება 1,604 მანეთამდე.

მეტეხის შკოლა შენახულ იქმნება სოფ. მეტეხისა და ბარნაბიანთ კარის ხარჯით. ამ სოფლებს ყოველ წლივ შემოაქვსთ 195 მან. მაგრამ ეს ფული საკმარისი არ არის მასწავლებლისათვის, ამიტომ სოფელს მეტეხს გარდაუწყვეტია ყოველწლივ შეავსოს ეს ფული 300 მანეთამდე. გამოსაზოგველი თავნი შკოლისა იქმნება 780 მან

ღომის შკოლა შეინახება სოფ. ღომის საზოგადოების ხარჯით, რომელიც ყოველ წლივ იძლეოდა 111 მან. მაგრამ რადგანაც ეს ფული საკმაო არა არის, სოფელს გარდაუწყვეტია მიუმატოს ყოველ წლივ 139 მან. ასე რომ შკოლის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 250 მან., გამოსაზოგველი თავნი კი 444 მან.

სოფელს გვთისსვესაც კავთისხევის შეოლისათვის მოუმატეს ოოველ წლივ 140 მან. იმ 260 მან., რომელსაც აქამდისინ იძლეოდა. ასე რომ ამ შეოლის წლიური ბიუჯეტი იქმნება 400 მან., გამოსაზოგველი თავი—1,041 მან.

ეკლეს ზემოხსენებულთ საზოგადოებათა უგისრნია შეოლისათვის კარგის სახლისა, საკმაო შუშისა და მოსამსახურის მიცემა. ამ საზოგადოებათა განკარგულებაკიდეც წარუდგენიათ ტფილისის გუბერნატორის წინაშეს შეოვები იქმნება სეკტემბერში გაიხსნენ.“

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲛ.

დიდის ხნის ნალოდინი მორიგების სახიხარულო ამბავი მსწრაფლად მკეთინა ჩვენ გურიას და ეულად გული საერთო სიხარულით ავტოკა.—დიდი ხანია მოგელოდით ამ ამბავს; საკმაოდ გაგვიგუბა ეური ზარბაზნის ქუსილმა და თოფების ჭექამ.—გურიის ეველა ადგილებში ცხადად ისმოდა ქობულეთიდამ ზარბაზნისა და თოფების ძიძგინი—ეველას ქობულეთისკენ ჭქონდა მიქცეული ამ დროს ეური და ბეკრის მათგანის გული მწეავის შიშით თრთოდა და ინთებოდა: ვის შვილი, ვის ქმარი, ვის ძმა ანუ მამა ეგულებოდა ბრძოლის ველზე საომრათ გასული და ვის იცის შმაგი ტე�ia სად გაეუოხრადა საძარეს ძვირფასს არსებას.—ბირველისაგე შეტაკებიდამვე რამდენიმე მარჯვე გურული (გურულები ამ შეტაკებაში ეველა ჯარის წინ მიდიოდნენ საომრად) თავებ-დაჭრილი მოუსვენენ სახლში უბედურ დედ-მამას და ბევრი დედები, დები და ცოლები შეიმოსა შავებით ამ ომიანობის წაყლობით, ბევრი ქ.რივ-ოხერი ობლები მეემატა ჩვენ საწყალ ქეეანას. ნამეტნავად გულსაკლავი სანახავები იყენენ 18 ივნვრის უბედურ შეტაკებაში უსარგებლოთ დახოცილი გაჟ-კაცები, როგორც ჩვენებურები, ისრე რუსები.—ამ დღეს დახოცილი რვა ოფიცერი ერთ დღეს დასასოფლავეს ოზურგეთში.—საშინელი ამაშფოთებელი შთაბეჭდილება დასტოვა მნახველის გულში რვა დიდრონმა კუბოამ ოზურგეთის ეკლესიაში ერთი მეორეზედ წყობილ წადგმულმა.—ეველა ამ მიცვალებულებს მხოლოდ ძმაშე და უფროსი ჯაკრი ეტყობოდათ ბირის სახეზე და არა ის სუსტი ძალა-მიღეული გამოამეტეველება, რომელიც ავათმყოფობით მიცვალებულებს აჩნეგიათ ხოლმე. ამათ ეველას სიმრთელე და ღონივრება ეტყობოდათ, თითქო მეკდრები კი არა, დადადეულობისაგან დაძინებული არიანო.—მეტად შემაძრწუნებელი და ამაღელვებელი შთაბეჭდილება ჭქონია კაცზე ესე ღონითა და სიმრთელით საესე ხელით-დახოცილი მეკდრების შეხედულებას—ეველ ეველებს ამათ კაცი და უკვირს, თუ როგორ უნდა მოარეოდა ამ ეველს ღონეს თითო ოხალის მარცვლის ტოლა ტეეიის ნაჭერი, ესე საკანგებოდ ადამიანების სახოცველად მოგონილი!—საშინელი ზიზღი და მძულვარება გერეკვ გულზე ამას შემზედვარე კაცს ამ ამოძხოტ-ამოძულეტელ ომებისადმი საზოგადოდ. ხომ სათქმელიც არაა ომიანობის ველტაში 8—10 მკედარის ერთად ნახვა, მაგრამ ესესც რა საშინელს სულისა და გულის გამარღვეველს ჭგრძნობას ჭბადავს კაცის გულში!—აბა რადა საანახავი უნდა იყოს ის ბრძოლის ველი, საცა ამისთანა მიცვალებულები ათასობით ერთი-ერთმანერთზედ ავზოზოლებული ერია და ვინ იცის ნახეკარ მოგანსაც სველი ბიწის სამარეც არ ეღირსება ამ ქვეყნიერობის უკანასკნელ თავ-შესაფარად!—ჩვენ კი, ტოტხლები, რომელთ თვალწინაც ამ ეველი ძალა და ღონე ესე უეცრად ამოხოცილა ამ ქვეყნის ცხოვრებიდამ, ისე გულგრილად და გულ-ქვად დავეეურებთ ამ სანახაობას, თითქო ამას შემდეგ ერი.ი დრამითაც კი არ შეცლილა ეს ფარიე ქეეანა.—ისევ ისევ ეს უწყალო ადამიანების სისხლით გაუმაძღარი ქეეანა! მაგრამ ეს იმიტომ გვეჩვენება ესე, რომ ჩვენ მარტო გარეგან კანს ვეცქერით და იმის შიგნით რა არის არ ვიცით. ახლოს რომ დაეკვირდეთ, ჩაგიხედოთ ქვეყნის გულში, შეგიხედოთ მისს ძარღვებში, რომლებშიაც წმინდა ანკარა მრთელი სისხლი უნდა სდიოდეს, დაგვკვირდოთ ეოტა ხანს თვალი ამ წვრილ-წვრილ ძარღვებს, ვნახავთ, რომ ისინი საშინელის ტკივილით იეზიმებიან, რომ იმათში წითელი ანკარა სისხლის ნაკვლავი, შავი სისხლი სდუღს—სიმწარისა და ტკივილისა. ეს ქვეყნის სხეულის ძარღვები გახლავან იმ უდრტვინველად დახოცილთ გაჟ-კაცების სასლეულობა, რომელნიც ჩვენ ესე გულ-გრილად მივაბარეთ გულ-უსკიან დედამიწას. აი ამათთვის ჭირისუფალთათვის შეიცვალა ეს

მუხთალი ქვეყანა შავ-ბნელად და დაურეებულ სადგურათ. ამ გაუკეთების დედ-მამა, ცოლ-შვილი და სახლეულობა უნუგეშოთ მშიერ-მწყურვალი და განუკითხავი დარჩა ლეთის ანაბარათ და ჩვენ რომ გვკითხავ კაცმა, ქვეყანა ისევ იგივეა, ვიტყვით, ის ამ ბატარა ამბებით რადი იცვლებაო. მარტო ერთ სოფელში ვიცი მე ექვსი სახლობა ამ ომიანობის წყალობით დამწუხრებულ-დაობლებული, რამდენიმე მშიერ-მწყურვალ წვრილ შვილებით. აბა ამის შემხედვარე ხალხი როგორის ადტაკებით უნდა მიჰკვეებოდა მორიგების დიდის ხნის ნანატრ ამბავს და რა ნაირის გულისტკივილით უნდა უგდებდეს იგი ახლა ყურს ამ ამბავის მომტანს ომის გაახლების ხმებს. ამ ხალხთან ერთად ვისუბვოთ სულითა და გულით, რომ ხალხის გულითადი ნატრა აღსრულდეს და კიდევ აღარ გაახლდეს ეს მიმწყალარი სისხლის ღვრა, რომ ამთანი მსხვერპლი იკმაროს ამ ომიანობამ და ახლა მაინც მოსკენება და საამშვიდე მოგვენიჭოს ამდენი ხნის დალალულებს და აღელვებულებს.

დახოტილები ხომ დახოტილებია, მიისვენეს, მორჩენ ამ წუთის სოფელს, სიქმე უფრო ცოცხლებს გაგეიჭირდა.—სიძკირეა ჩვენში ასეთი რომ ზღაპრადაც არ დაიჯერება: თითო კვერცხი ოთხი გროშია, ბატარა ქათამი მანეთი და სხვა. ვინც ვაჭარი და სხვა რიგათ მეფლეფავი ვინმე არა ვართ, სწორეთ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავვარდით ვალებით და დაგიდუბენით. ვის შეუძლია თითო ბაწაწა ოთახში 15—20 მანეთის ძღვევა, ამისდარიგათ კიდევ ხორაგის ყიდვა! ამასთან სამინელი ცარცვა-ქურდობაა ჩვენს ოზურგეთში: დამე არ გაგა, რომ რამდენიმე დუქანი არ გასტეხონ და რამდენიმე კაცი არ დაიჭირონ ქურდობაში შენიშნული. . . . . .

. . . . . , ...—აქაურ სასამართლოს გამოძიებლებს თითო წლობითაც არ ეყოფნიათ იმდენი საქმეები საქმე, რამდენიც ახლა თითო დღეს უჩნდებათ. როდის იქნება, რომ ყველა ამების აღსასრული გვეღირსოს!

ვიცი არიან ჩვენში იმისთანაებიც, რომლებიც სულ სხვა ნაირ ლოცვას აგვდრებენ ღმერთს, სულ სხვა სურვილით ისმენენ გულსა და ომიანობის დასრულებ. ამაო ისე სამწუხაროთ დაურჩებათ, როგორც ჩვენ—განგრძობა. ეს რამდენიმე ბირნი გახლავან ისინი, ვინც ომის წყალობით მშიერი კუჭი და ცალიერი ჯიბეები გაატანეს, ფუტურო გული და მსუქანი მხრები საკმაოდ დაიმშვენეს სხვა და სხვა ტიტოლებით. ეს გაუბატონები (მათი ქალბატონებიც—უფრო) მდუდარის ტრეშლით ევედრებიან ღმერთს ომიანობის განგრძობას და რაცა მორიგებაზე რამეს გაიგონებენ, ეურებ-ჩამაყრილი და ფერ-მიხდილი დუანგალებენ ჯავრისაგან. ომიანობა ამათთვის ფართეთ გაშლილი მდიდარი სუფრა იყო და როგორ არ უნდა ისურვონ იმისი განგრძობა... სულ ომი და ომი, კვნესა და ტირილია, იტყვის მკითხველი: ამის ყურება ცხოვრებაშიაც საკმაოდ მოგვბეზრდა და შენ წერილებშიაც სულ ამაზე გიბეზუია,—ხო, მეც ვიცი, კმაყოფილო მკითხველო, ხომ კარგს გუნებაზე მოფუს ზოგიერთ მრთელ კაცს ავათ-მყოფების კვნესა და წუხილი ყურებში თითებს დაჭმეგინებს და შორს სადმე კუთხეში მიჭმალავს, იქით, სადაც კვნესა და ტირილი არ ისმის. მაგრამ ხომ ყველა კაცის გული ესეთი არ არის: იმისთანებიც არიან, რომელნიც განგებისად იქით მიიწევიან, საიდგანაც ავათ-მყოფის მწუხარება და ტირილი მოისმის და ამას შეარებიან ისინი მისთვის კი არა, რომ იმათი გული ამ წუხილს და კვნესას ვერ გრძნობდეს, არამედ მისთვის, რომ ისინი სულითა და გულით თანაუგრძნობენ მწუხარე სნეულს, ყოველის ღონის-ძიებით ცდილობენ იმათ ტკივილების და მწუხარების მოობებას. აი ამისთანა მკითხველებისათვის დამიწერია მეც ეს წერილი და დრო დაკარგვათ არ ჩავთვლი ამის წერას, თუ ასში ერთი ამისთანა მკითხველი მაინც შეხვდება ამ სუსტის და გამოუცდელის ხელით დაწერილს, მაგრამ ბევრის ნაგრძნობის და ბევრის გამოანცადის გულიდამ ამოკრეფილ სიტყვებსა.

საბრალოა, ჩემო ერთო-ორო მკითხველო, ის ადამიანი, რომლისთვისაც ღმერთს მიუცია საკმაოდ ღრმა გრძნობა, რომ ყველა მის გარშემორტყმულის გაჭირვება და მწუხარება ცოცხლად იგრძნოს, საკმაოდ ფართე გული, რომ ეს გრძნობები საკმაოდ დაიბუდოს ამ გულში, საკმაოდ მახვილი ყური, რომ ბევრი კვნესა-ტირილი გაიგონოს, საკმაოდ მხედველი თვალი, რომ ბევრი გაჭირვება დაინახოს, საკმაოდ თვალისუფალი დრო, რომ ყველა ამებზედ ღრმად და-

ფიქრდეს და ამასთან ძლიერ სუსტი, პატარა ენა სათქმელად, რომ ყველა ესენი ისე გამოთქვას და გამოხატოს, რომ მასთან ერთად ყველამ მისმა მკითხველმა იგრძნოს ის, რასაც თითონ დამწერი ჰგრძნობდა.—დიდი იარაღია მეტყველისათვის კარგად-მეტყველი ენა! და ვაი იმას, ვისაც სათქმელი ბევრი აქვს, თქმა კი ცოტასი შეუძლიან!

გურული—ქალი.

ალიბეგლოს შკოლა. (კახის უჩასტკაში)

(„ივერიის" კორრესპონდენცია)

მგონია არ დავიწყდებოდა მკითხველს, რომ 13-ს თებერვალს სოფ. კახში იყო საინგილოს სამღვდელოების კრება, რომელზედაც ალიბეგლოს და ყორაღნის მღვდლებმა იკისრეს—გახსნან თავიანთ სოფლებში შკოლები და ასწავლონ მათ ქართული წერა-კითხვა, თვლა, ლოცვები, ლექსები, პატარ-პატარა საუბრები. ამას წინეთ მე ვაცნობე „ივერიის" მკითხველს, რომ სწორეთ ერთის კვირის შემდეგ, მე მომიხდა მეთქი ამ ნაკისრულის მოვალეობის სისრულეში მოყვანა მეთქი. თუმცა სწავლა მხოლოდ ერთი კვირა იყო, მაგრამ სწავლა ეხლავე დაჰსტურობია მეთქი მოსწავლეებს. მაშინ ეს ვთქვი და მეტი არაფერი. ეხლა კი სულ სხვა სიტყვებით და იმედებით შამიძლიან ვახარო ქართველთ საზოგადოებას.

იყო დილა, ათი მაისი, როდესაც ადგილობრივი ნაიბი ბოლურლავსკი, საინგილო მღვდლების ბლაღოჩინი, მე და სხვანი მოველით სოფ. ალიბეგლოში, პირდაპირ მღვდლის სახლში და იმ ოთახში, რომელშიაც მას გამართული აქვს შკოლა. ყმაწვილები გარეთ იყვნენ: ზოგი იჯდა მწვანე ბალახზე, ზოგი იდგა. „გამარჯობა ყმაწვილებო", ვუთხარი მე. მჯდომნი მაშინვე წამოხტნენ და ყველამ ერთათ ძლიერ თამამათ მომიგეს—„გაგიმარჯოსო". მართლა გითხრათ მამეწონა. ნამდვილი ბავშური სიცოცხლე ჰსჩანდა მათში ამ სიტყვის გამოთქმის დროს. მაშინვე უნებლიეთ მამაგონდნენ:

„წვრილ-შვილნი მოგესწვრიან, ნაზარდნი გულმტკიცები,
მათი ზრუნვის საგანი, შენ ხარ და შენ იქნები!"

შაველით ოთახში. ახლა ამ ოთახში ორი დიდი კლასის სტოლიც იდგა, უკუნიდამ ახდილას ყუთებით, წიგნებით, ასპიდის დაფებით. კუნჭულში იდგა კლასის დაფაც. სტოლები, კლასის და ასპიდის დაფები ნაყიდი იყო იმ ფულებით, რომელიც ამ შკოლას აჩუქა, ზაქათლის ოლქის უფროსმა სერაფიმოვიჩმა; წიგნები კი, გოგებაშვილის ახალი ანბანები, გამოგზავნილები იყვნენ მართ-მადიდებლობის აღმადგინებელ საზოგადოების შკოლების ინსპეკტორისაგან . ცოტა ხნის იქით ყმაწვილები, რიცხვით 14, შამოვიდნენ ოთახში და დასხდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე. პირ-დაბანილები, თავ-დავარცხნილები იყვნენ. ერთზედაც ვერ შევნიშნე დაგლეჯილი ახალუხი; ეგრე წმინდათ თავ-შენახულები თურმე იმიტომ არიან, რომ უჩასტკის უფროსმა უყიდა მათ პირსახოცებიც, სავარცხლებიც და საპონიც. მე ვსთხოვე მასწავლებელს მღვდელს თვითონ გაეჩვენოს ყველაფერი ის, რაც ამ ორ თვე ნახევარში ისწავლეს პატარებმა. ჯერ კითხვა. ყმაწვილებმა იცოდნენ ყველა ჩვენი ალფავიტის ხმები, ასოები; კითხულობდნენ გაკვეთილათ გოგებაშვილის ანბანიდამ პატარა სტატიას „ქარი და საბმელი" (მეათე სტრიქონზე). ყმაწვილებმა, ყველა ამ სტატიაზე წინა სტატიები კარგათ წაიკითხეს, თუმცა რასაკვირველია ხან-დაზმობით. მასწავლებელს ეტყობა კარგათ ესმოდა აქ თავისი დანიშნულება: ვერც ერთი სიტყვა ვერ ჰპოვეთ კითხვის დროს იმისთანა, რომ ყმაწვილებს აღსნილი არა ჰქონოდათ. უნდა გენახათ, როგორ, სწორეთ ბავშურის სიცოცხლით, ზედ აფრინდებოდნენ მასწავლებელ მღვდელს ეს პაწაწინა ქართველები! მე დარწმუნებული ვარ რომ თვით მამა პესტალოცციც კი აღტაცებაში მოვიდოდა აქ ნანახულით! ყველანი გავცვიფრდით მათის სიცოცხლით.... შემდეგ იყო ლოცვების ზეპირად წაკითხვა. პირველათ, ჯვარის გამოსახვით, წაიკითხეს სახელითა მამისათა.... შემდეგ წაიკითხეს წმინდაო ღმერთო.... შემდეგ მამაო ჩვენო.... და შემდეგ ლოცვები პურის ჭამის წინ და შემდეგ. აქაც უნდა გენახათ, როგორ ეს შვიდი, რვა წლის ბავშვები გიხსნიდნენ უბრალო ენით ამ ლოცვებს. შემდეგ იყო გამოცანების გამოცნობა. ყმაწვილებმა იციან 26 გამოცანა ოვისის აღსნით. შემდეგ იყო პატარ-პატარა საუბრების, ზღაპრების, არაკების ზეპირად გადმოცემა. ყმაწვილებმა იციან სწორეთ ხუთმეტი პატარა საუბარი, არაკები, რომელნიც მასწავლებელს ამოერჩია ზოგი გოგებაშვილის ანბანიდამ და ზოგი რჩეულის არაკებიდამ

მათ იცოდნენ შემდეგები: ორი ყვინჩილა, ყვავი და კაჭკაჭი, თავის ციხე დარბაზი, მელია და ქოთანი, მამალი და ძაღლი, კიდევ მამალი და ძაღლი, ორი მეგობარი კაცი და დათვი, ზებერი და ქათამი, არწივი და კატა, არწივი და ყვავი, ყვავი და ქოთანი, აქლემი და ვირი, ქორი და ბატი და სხვ. წაგვიკითხეს და იმღერეს ცალ-ცალკე და ერთად ლექსები — ია ვნახოთ ვენახი, ჩიტი და ზაფხულის დილა. ყველაფერს ამას ბავშვები ძალიან კარგათ, თავისუფლათ, და, გასაკვირველი რა არის, ძალიან თამამად და ყოჩაღათ გადმოგვცემდნენ.

რა უთხრა ამ ღირსეულ მასწავლებელს?! ეტყობა, რომ ტიმოთე გონაშვილში ძლიერ დიდი პედაგოგიური ნიჭი მოიპოება! ჩვენ განცვიფრებაში მოველით არა მარტო ამისის შაგირდების ამოტენა და ზედ-მიწევნითის ცოდნით, არამედ იმით, რომ ამ ყმაწვილებში სიცოცხლე ჰსჩანს, ბავშვობა ჰსჩანს, გაღსნილობა ჰსჩანს და არა დაჩაგრულობა, გაკერპება! ეტყობა, რომ ტიმოთეს კარგათ გაუგია პედაგოგიის დევიზი: „აღზარდეთ სიყვარულით, სიყვარულით და სიყვარულით!“ პედაგოგიური ხელოვნებაც არ აკლია: ეს ცხადათ ჰსჩანდა იმ კითხვებიდამ, რომლებსაც ეს აძლევდა ბავშვებს. ქცევაც, თავის დაჭერაც ბავშვებთან სწორეთ მამობრიული აქვს. მგონია, ჩვენ სახალხო შკოლებში ასში ერთი მოიპოება აგრე კეთილათ და პედაგოგიურათ დაყენებული შკოლა, არა მარტო იქ, სადაც ჩვენი უბრალო მასწავლებელნი მოღვაწეობენ, არამედ იქაც, სადაც თვით სპეციალისტებს აბარიათ ჩვენი განათლების საქმე! დარწმუნებული ვარ, რომ თუ ტიმოთე გონაშვილმა ეგრეთი წარმატებით წაიყვანა ეს ძლიერ ნაყოფიერი საქმე სამშობლო ენის შემწეობით სამიოდე წლამდის, მისის შაგირდებისგან აღიზრდებიან ძალიან კარგათ გახსნილები გონებით და ზნეობით მამულის შვილნი! ვხარობ, რომ ქართველებში იბადებიან ტიმოთესთანა მღვდლები! იმუშავე მამაო ტიმოთე და ერთ წამზედაც ნუ შეუშვებ შენ გულში იმ ჰაზრს, ვითომ ამ საქმეს შენ ოდესმე უღალატო და მასზე გული აიცრუო!....

ვისურვებ, რომ მეორე მისი ამხანაგიც, ყორაღნის მღვდელი, რომელსაც ამოდენივე შაგირდები ჰყავს, არაფერში არ ჩამორჩეს თვის მეზობელ მასწავლებელ მღვდელს! აქ არ შემიძლიან ამავე გაზეთით, დიდი მადლობა არ უთხრა ალიბეგლოს მამასახლისს მოსიკო ასლამაზოვს, იმ თანაგრძნობისათვის და შემწეობისათვის, რომელსაც ის თავის დღეში არ აკლებს ამ პაწაწკინა შკოლას!..

თქვენი ვანო.

ქართველების ზოგიერთი ცრუ-მორწმუნოებანი.

1. ბავშვის აკვანი ღამით არ გაიტანოთ გარეთ, სხვაგან, თორემ აკვანს ცუდი ანგელოზი დაეცემაო. (ამ ცრუ-მორწმუნოების წყალობით, საღამოს შემდეგ, რაც უნდა გაჭირება იყოს, სხვას აკვანს არ ათხოვებენ).

2. საღამოთი კარებში ჯდომა კარგი არ არისო, რადგანაც კეთილი ანგელოზი მოდისო და თქვენ უშლით მას სახლში შემოსვლასაო.

3. კევი რომ დაღეჭო საღამოთი, ძმები აღარ დაგეზდებაო, დაგეხოცებაო.

5. როდესაც მოკვდება ვინმე და მოასვენებენ მას ეკკლესიაში, და როდესაც დაასაფლავებენ და ხალხი დაბრუნდება მიცვალებულის სახლში, იქ ამათ სახლის შორი-ახლო დაუხვდესთ ბიჭი, კოკით სავსე წყლით, რომელმაც ნელ-ნელა უნდა დაცალოს ეს კოკა და ყველა იქ მყოფმა კი უსათუოთ უნდა გაურეცხოს თვის ხელსახოცებს წვერები, შემდეგ მოიბანონ მით თვალები და იგრე შევიდნენ სახლში

5. ტირილში ახალ ტანისამოსში არ წახვიდეთო, თორემ სულ ტირილში გაჰსცვეთამთო.

6. სახლში სამ სანთელს ნუ აანთებთო, თორემ მოგიკვდებათ ვინმეო.

7. როცა ქუხსო, კარებში არ დადგეთო, თორემ მეხი ჩამოგვარდებაო.

8. სადილზე თურმე ერთი ქალი მიირთმევს ქათმის ფრთის წვერს. ზოგიერთები შეუტევენ მას: „ქალო, რას შვრები, რას შვრებიო?!“ რა ამბავია უპასუხებს ქალი; და ისაო, რომ ქათმის ფრთის წვერს ნუ ჰსჭამო, თორემ ქმარი მოგიკვდებაო!

9. ობოლი ლავაშის თავს ნუ სჭამო, თორემ დედა მოგიკვდებაო!

10 ქათმის თავს ნუ ჰსჭამო, თორემ ჯიჯლიბო ამოგივა თვალზედაო.

11. აღდგომის დღესაო, გასათხოვარმა ქალმა არ უნდა დაიძინოსო, თორემ ბედი ჩამოივლისო, და აჰსცდება თვისსა ბედსაო.

12. ვინც ახალ-წელიწადს პირველ დღეს ცხვირს არ დაასცემინებსო, მოკვდება, ვერ ჰნახავს მეორე ახალ-წელსაო.

13. თუ პატარძალი, მომავალი თავისის ქმრის სახლში, უკან, თვის დედა სოფლისკენ, ქალაქისკენ მიიხედავსო, უბედური იქნებაო.

14. საცოლო ბედნიერი იქნებაო, თუ იმ დროს, როდესაც საქმრო მოდის მის სახლში ჯვარის დასაწერათაო, ფანჯრიდამ სავარცხელში უყურა იმასაო

15. ვარსკვლავი რომ ჩამოვარდებაო უთუოთ ვინმე მომკვდარაო. ამ დროს, ვინც დაინახავს ვარსკვლავს ეუბნებიან: „შენ წადი, მე არ წამოვალ, ჩემიანს არ გამოგზავნიო!“

16. როდესაც მკვდარზე ლაპარაკობენ და ვინიცობაა ვინმემ ცხვირი დააცემინა, უთუოთ ვინმემ უნდა უჩქმიტოს მას და ხელი სამჯერ დაჰკრას ამა სიტყვებით: „შენი ჭირი, შენ სეხნას; შენი ჭირი შენ სეხნას; შენი ჭირი შენ სეხნას!“

ს. კახი. 13 მაის 1878 წ.

საპოლიტიკო მიმოხილვა

წლევანდელ საოფლეზე.

(ხალხის საკითხავათ შედგენილი ექიმის შმულევიჩის მიერ.)

(შემდეგი *)

ეხლა განვიხილოთ მეორე გარემოება: როგორ ვრცელდება საოფლე?

---

* „ივერია“ № 19, 1878 წ.

უფრო ხშირად ის ვრცელდება გადადებით ერთის ბირიდამ მეორეზე. გადადება შესაძლებელია არა თუ მარტო ავთმყოფის ხელის შეხებით, არამედ ჭაერიდამაც, ავთმყოფის ხელის შეუხებლად. ავთმყოფის ფილტვებიდამ, ტანის კანიდამ და განავალიდამ ეფინტება ჭაერში ის მავნებელი ნივთიერებანი და ბაწარა სხეულანი შედიან ჭაერთან ერთად ჯანმრთელის კაცის ორგანოებში და სწამლავენ. ყველაზე უფრო ხშირად ხდებიან ხოლმე ავთ ექიმები და სასნეულოში მოსამსახურე ბირნი.

გამოანგარიშებულია, რომ 1,220 ექიმთაგან, რომელნიც მსახურებდნენ საზოგადო სასნეულოში 560 გადნენ ავთ ყამომყრელის საოფლით (сыпной тифъ) და მათგან მოკვდა 132 კაცი. ერთ სასნეულოში 126 მოსამსახურე ბირთაგან, რომელნიც უალიდენ ავთმყოფებს, გახდა ავთ 57 და მოკვდა 12 კაცი. ეირიმში ინგლისის და სოფრინგეთის ექიმთაგან მოკვდა საოფლეთი 58 კაცი. მაგრამ არ გეგონასთ, რომ უვლას, ვინც კი შეკვა ავთმყოფთან, მაშინათვე გადადება სასადი. გამოცდილი ექიმები ამტკიცებენ, ძლიერ დიდსანს უნდა იყოფოს კაცი ავთმყოფთან, რომ გადადეს სასადი. ასე რომ სასნეულოში მოსამსახურენი ხდებიან ხოლმ ავთ, თუ ხეთის-ექვსის თვით ავადმყოფებთან არიან. სასადი გადადის სხვაზე არა თუ ოვითონ ავთმყოფისაგან, იმ ნივთებისაგანაც, რომელთითვის მას მოუკიდია ხელი: ტანისამოსადამ, ურმიდამ, რომლითაც სნეულა უტარებია და სხვ. ეოფილა იმისთანა შემთხვევა, რომ კაცს მოუტანია სასადი თავის ტანისამოსით, თუმცა კი თვითონ არ გამხდარა ავთ. სასადი მიადგება ეოველთვეს, თუ კი შესვდა მისთანა გარემოებანი, რომელიც ესმარება მის განმეორებას სასადი შეეძლება გავრცელდეს წყლიდამაც, რომელსაც სმარობენ დასადგეთ. ავთმყოფის განავალი, რომელშიაც ეფოფეა სასადის შხამი, გაერევა რა წყალში, სწამლავს მას და მასთან ყველას, ვინც კი მას ჭამარობს.

ამ ჭეშმარიტის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგს ნამდვილ შემთხვევას.

ერთ სოფელში მოვიდა საოფლეთი ავთმყოფი, იწვა იქ ერთ კვირას და მეორე მოკვდა. მის განავალს აყრიდენ ერთის ჭის ახლოს, სადამაც მიჰქონდა წყალი თითქმის მთელ სოფელს. არ გასულა ერთი კვირა, 28 კაცი გახდა ავთ საოფლეთი და შემდეგ კიდევ სხვები, ასე რომ თითქმის მთელი სოფელი გახდა ავთ ხანმოკლის გარდა. რაც შემდეგ ექიმებს გამოეძიებინა ეს ექმა, გამოჩნდა რომ მთელი სოფელი ხმარობდა წყალს იმ ჭიდამ იმ სამი ოჯახის გარდა.

ეოფილა კიდევ სხვა შემთხვევაც: გამხდარა ოჯახში ავთ 3-4 კაცი საოფლეთი, და ერთი კი ეოფილა კარგათ; გამოჩენილა, რომ ის ეთია, რომელიც არ გამხდარა ავთ, არ ხმარობდა იმ წყალს, რასაც სხვები; წყალის გამოყენების დროს თითქმის ეოველ ბინდებიდა, რომ წყალი წამხდარია. შესანიშნავია ერთი შემთხვევა: ერთ სოფელში, რომელშიაც ოთხმოცდა-ათი სახლი იყო და ორი ჭა, გამოჩნდა საოფლეთ—სულ გახდა ავთ ეს ორი კაცი. გაძოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთის ჭის წყალი ერთგებოდა ერთ ჭაობს, სადაც ჭურიდენ ეოველთვეს სიბინძურეს და 24 სახლში, რომელნიც უფრო ახლო იყვნენ ამ ჭასთან, გახდა ავთ 80 სული; დანარჩენ—66 სახლში გახდა ავთ მხოლოდ 22 და იგიც იმათგანი, რომელნიც არ ჭამდენ ბოლოდ მარტო წმინდა ჭის წყლით და ხმარობდნენ წამხდარას ჭიდამაც.

ესლა, როდესაც ვიცით, რა გარემოებანი ეხმარებიან საოფლის გავრცელებას, შეგვიძლიან ვიკითხოთ: რა უნდა გვქნათ, რომ ამოეფხოთ ბოლო და მოეჭიმოთ მისი დამბადებელი მიზეზები? ჩვენ კერძო პირნი სრულიად უღონონი ვართ ამ ავადის აღსრულებისთვის,—აქ საჭიროა საზოგადოების ეურადღება და მართებლობის წარმომადგენლების ჭეშმარიტი ბეჯითობა. ჩვენმა მართებლობამ კიდევ დანიშნა სასწავლო კაცებისაგან კომისია, რომელიც ვალდებულია მიიღოს ჯერობანი ზომები, რამდენათაც ეს უგანსაკუთრებული შეეშეშვებია მცენიერებას. ამაგვე სნეულების მოსაბეზოლათვე დანიშნულა კიდევ სხვა კომისიები, რომელნიც ადგენენ თავალ ეურს იმ ავადების სიოფაქიზეს, რომლებითაც ატარებენ საოფლეთი ავთმყოფებს.

რასკვირველია, უკეთესი იქმნებოდა, რომ ქალაქების მმართველობა წინადვე მოიზრუნებული ეოფილიყო,

ვიდრე უბედურობა განძლიერდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ ის მუყაითობა, რომლითაც შეუდგნენ საქმეს, და ის ღონისძიებანი, რომელნიც მიიღო საზოგადოებამ, მოიტანენ ჯეროვან სარგებლობას.

სულ სხვაა კერძოობითი ზრუნვა თავის გადასარჩენათ ამ სენისაგან; ეს დამოკიდებულია ყველა ჩვენგანზედ, რასაკვირველია, იმოდენათ, რამდენათაც ქონებითი შეძლება ნებას გვაძლევს. პირველად საჭიროა ვიზრუნოთ სადგომის ჰაერის სისუფთავეზედ, რომ მით მოვსპოთ ის მიზეზნი, რომელნიც ფესვს უკეთებენ ამ სენს. რასაკვირველია, ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ არ სცხოვრობდნენ ერთად რამოდენიმე ოჯახი ვიწრო და ნოტიო სადგომებში, მაგრამ ეს ყველასთვის არაა შესაძლებელი, რადგანც კარგი სადგომები კარგ ფულსაც თხოულობენ. საჭიროა მაშასადამე მივიღოთ ის ღონისძიებანი, რომელნიც ყველასთვის შესაძლებელია. თავის ოთახის განიავება ყველას შეუძლია, ცეცხლის დანთება ოთახში მაშინაც არ არის ურიგო, როცა თბილა, რადგანაც ეს სწმენდს ჰაერს. ხშირად აბანოში სიარული, საცვლის გამოცვლა, სისუფთავე სამზარეულოში, ლოგინის გამობერტყვა, სახლის სუფთად დაგვა,—ყველა ეს უეჭველად კარგ გავლენას იქონიებს სადგომების ჰაერის სისუფთავეზედ და ბოლოს მოუღებს სახადის გავრცელებას.

გარდა ამისა, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ განსაკუთრებით ეკიდება სახადი იმათ, ვინც ცუდათ სცხოვრობს. გარდამეტებული ჯაფა, სისუსტე, უძილობა, ყველა ესენი ადვილათ ხდიან ავათ სახადით, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი მაინც ცუდი სასმელ-საჭმელია.

რასაკვირველია, ღარიბ ხალხს არა აქვს შეძლება აიცილოს თავიდამ ყველა ეს მიზეზები, მას არ შეუძლიან, თავის სურვილისამებრ, შეამციროს მუშაობის დრო და განიკარგოს საჭმელ-სასმელი. მაგრამ ყოველთვის შესაძლებელია მიაქციოს ყურადღება, რომ საჭმელი არ მზადდებოდეს ერთად რამოდენიმე დღესთვის, რომ თევზი, ხორცი და სხვა ხორაგი, არ იყოს დამპალი და უვარგისი, რომ პური არ ცხვებოდეს ცომათ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. სამარხვო ზეთი, თუ სულ ახალი არ არის, უმჯობესია სულ არ იხმარებოდეს ხოლმე; სოკოები სულ უვარგისი და მავნებელი საჭმელია ეხლა მაინც. მჟავე კომბოსტოს არაფერი უშავს, თუ დამპალი არ არის და ზომიერათ ხმარობს კაცი საზოგადოთ, უმჯობესია ცოტა სჭამოს კაცმა, მაგრამ კარგი, ვინემ ბევრი და ცუდი. ვისაც აქვს, ეხლა ჩაი ჰსჯობია სასმელად ან და გადადუღებული წყალი. ეს უკანასკნელი უნდა გაცივდეს ჯერეთ, რასაკვირველია, და მერე უნდა აანჯღრიონ, რომ ჰაერი მოხვდეს ცოტათი მაინც. ვისაც შეძლება აქვს — სასარგებლოა სვას ღვინით შეფერილი წყალი.

მაგარი სასმელები, ვინც ნამეტნავათ ხმარობს, ძლიერ ეხმარებიან სახადის გაჩენას. საზოგადოთ შენიშნულია, რომ ყოველნაირი სისუსტე, რისგანაც უნდა წარმოდგებოდეს იგი, ძლიერ საშიშარია ამ დროს, როცა ჰაერში გამდგარია სახადის გესლი; უბრალოთ რომ გაცივდეს კაცი, რასაც უწინ მოყვებოდა უბრალო სურდო ან ხველება, ეხლა აჩნდება საოფლე. უწინ შესჭამდი ცუდს ან ბევრს რასმე—კუჭი აგეშლებოდა ცოტათი,—დღეს კი მასაც საოფლე მოსდევს. ერთი სიტყვით, ყოვლიფერი რაც კი აღემატება კაცის ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობას, შეუძლია გახდეს სახადის მიზეზათ. ყველამ იცის, თუ როგორ ასუსტებს კაცს მაგარი სასმელები, განსაკუთრებით სმის მეორე დღეს. განსაკუთრებით მავნებელია სასმელები მისთვის, ვინც ცოტას ხმარობს საჭმელს. ამ გვარათვე საშიშარია ეხლა გაცივება, რადგანც მას მოსდევს ხშირათ თვითონ საოფლეც.

თუ ვინმე გახდა ავად, რასაკვირველია, უმჯობესია მაშინათვე სასნეულოში წაიყვანონ, მაგრამ საჭიროა წინ და წინ გაიგოს, არის თუ არა ადგილი იქ, რომ არ მოგიხდესთ ტყუილა უბრალოთ ავათმყოფის აქა იქ თრევა. არაფერი არ ასუსტებს სნეულს ისე, როგორც ამნაირი თრევა, და ეს სისუსტე ხომ, რასაკვირველია, ძლიერ მავნებელია ავათმყოფისათვის. ბევრი ყოფილა იმისთანა შემთხვევა, რომ აგრე აქა-იქ ნათრევი ავათმყოფი, დატანჯული და დაუძლურებული, ლაზარეთში მიყვანის შემდეგ ნახევარ საათში სულს აბარებდა ღმერთს. თუ საავათმყოფოში ადგილი სულ არ არის, მაშინ ავათმყოფი, რასაკვირველია, სახლში უნდა დააწვინოთ, სადაც, როგორც მისთვის, აგრეთვე მასთან მყოფ პირთათვის, საჭიროა სადგომის განსაკუთრებითი სიწმინდე და სიფაქიზე.—

ყოველი პატიოსანი და კეთილ სინიდისიანი ექიმი გეტყვისთ, რომ წამალი სოფლელსათვის არ არის, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ წამლობა, რომელზედაც დამოკიდებულია ავათმყოფობის შედეგი, საჭირო არ იყოს. მხოლოდ წამლობა სხვა და სხვა წამლების მიღებაში კი არა, — გონიერ და ჯეროვანს მოვლაში მდგომარეობს ხოლმე. საჭიროა, რომ იმ ოთახში, სადაც წევს ავათმყოფი, იყვეს რაც შეიძლება ცოტა ხალხი და ხშირათ განიავდებოდეს ხოლმე ჰაერის გასაწმენდათ. თუ ოთახის განიავების დროს მეორე ოთახი არ არის, სადაც ავათმყოფის გადაწვენა შეიძლებოდეს, საჭიროა კარგად დახურონ ავათმყოფს, რომ არ გაცივდეს. საცვალი რაც შეიძლება მალ-მალე უნდა ეცვლებოდეს ხოლმე. ამასთანავე ზეწარი, თუ ბალიშის პირი გარეცხის დროს უნდა ამოავლოთ რამოდენჯერმე წყალში გახსნილ თუთიანს შაბიამანში (растворъ цинковаго купороса). თუთიანი შაბიამანი ღირს აფთიაქში რვა კაპიკათ (8) გირვანქა, თუ გაწმენდილი არ არის. სამი მეოთხედი (3/4) გირვანქის ამ შაბიამნისა უნდა გაურიოთ სამ თუნგ წყალში. ამასთანავე, საჭიროა ოთახის ჰაერის გაწმენდა ძმრით; ეს უნდა ქმნათ, აი როგორ: უნდა გაახუროთ აგური და დაასხათ ზედ ძმარი. ძმრის ორთქლი, რომელიც გადგება ჰაერში, ჩაყლაპავს მავნებელთ ნივთეულებებს და მით არგებს, როგორც ავათმყოფს, აგრეთვე მასთან მყოფ პირებს. ჰაერის გასაწმენდათ აგრეთვე საჭიროა ოთახის კუთხეებში და ავათმყოფის საწოლთან დადება გაღუებულის დანაყულის ნახშირისა ოთხ კუთხიანს და ფართე ფსკერიანს ჭურჭლებში. დანაყული ნახშირი მიიზიდავს ხოლმე მავნებელთ ნივთეულებას და აქარწყლებს ხოლმე; ეს ნახშირი რამდენჯერმე უნდა გაალღონ ხოლმე. იმ ჭურჭელში, რომელსაც ავათმყოფი ხმარობს გარედ გასასვლელად, აუცილებელი საჭიროა გამორეცხვის შემდეგ ესხას (желѣзный купоросъ-იანი) წყალი. ეს უკანასკნელი ღირს გირვანქა სამ კაპიკად და უნდა იხმარონ გირვანქის მეოთხედი (3/4) ნახევარ ბოთლს წყალზე. ხელების დასაბანათ საჭიროა „მარგანეცის მარილით" (марганцовая соль) შეზავებული წყალი. ეს უფრო ძვირია: გირვანქა ღირს სამ მანეთად, მაგრამ ბევრი არა არის საჭირო. ერთს ბოთლს წყალში საკმაოა ჩაყაროს ხუთი (5) მისხალი. ესევე მარილი სწმენდს ჰაერსაც. როცა იმოქმედებს, იგი ხდება უფერული და მაშინ საჭიროა ხოლმე მისი გამოცვლა.

ყველა ამ ნივთეულებაებს, რომელნიც მე გახსენე: (цинковый купаросъ, желѣзный купаросъ, марганцовая соль, ნახშირ-ძმარი, корболовая кислота, хлориновая известь), მდუღარეს და მის ორთქლს ის თვისება აქვთ, რომ, ჩვენდა საბედნიეროთ, სულ აქარწყლებენ ხოლმე სახადის გადამდებელ თვისებაებს. ამისათვის მათ ეძახიან ხოლმე უვნებელ-მყოფთ ნივთეულებას. აქედამ ცხადია, თუ როგორ გამოსადეგია მათი ხმარება.

ყველა ზემო ჩამოთვლილი ზომები სასარგებლო არიან მით, რომ უადვილებენ ავათმყოფს სახადის სნეულებას და იფარავენ მასთან მყოფ პირებს ავათ გახდომისაგან.

ვნახოთ, კიდევ რით შეიძლება მოეხმაროს კაცი ავათმყოფს, შეუმსუბუქოს მას ტანჯვა და გაუადვილოს მორჩენა. მაგრამ პირველად ვიტყვი, როგორ უნდა გამოიცნოს კაცმა წლევანდელი სოფლე?

სოფლეს შეტყობა ადვილია: ავათმყოფს ხან ერთბაშათ გამოაჩნდება ციება და ავათმყოფი მაშინათვე წვება სისუსტისაგამო; ავათმყოფს არა შეუძლია მუშაობა, თავი ტკივა და ებრუება, მუხლები ეკეცება და ხელფეხი უცივდება. თვალები უწითლდება, ენაზე გადაედება სითეთრე და გემო ეკარგება. ამ ნაირი ყოფა ეტყობა სამის დღიდამ ხუთ დღემდის. ავათმყოფი თან და თან სუსტდება და ბოლოს სულ აღარ შეუძლია ფეხზე დგომა. ავათმყოფს ცოტათ ახველებს, ფაღარათი არა აქვს, უფრო ხშირათ შეკრულია მუცელში. ის უჩივის მხოლოდ თავის ტკივილს, მაგრამ ხშირათ არც იმას ტყობილობს ხოლმე, რადგანაც გრძნობა სრულიად ეკარგება. ავათმყოფობის განმავლობაში სნეული სულ იწვის სიცხისაგან, მოუსვენებლათა, იშვიათად და ცოტა სძინავს. ხანდისხან, როცა ავათმყოფობა ძლიერდება, ავათმყოფს ჭკუაც ეშლება და მაშინ მისგან ყოველიფერი უბედურება შესაძლებელია. მომხდარა, რომ ავათმყოფები შეშლილან და გადმოვარდნილან ფანჯრიდამ მაღალის სახლიდამ. მესამე, მეოთხე ან მეხუთე დღეს ავათმყოფს გამოაჩნდე-

ბა ტანზე წითლათ დანაყარი; პირველათ ფერდზე, მერე სხვაგანაც—იშვიათად პირზედაც. ამ ნაირ მდგომარეობაში ავათმყოფი 12-15 დღეს. ამ დროისათვის სიცხე უეცრად მცირდება, ავათმყოფი თან და თან მშვიდდება, მაგრამ მაინც დასუსტებულია, იტანჯება და ნელ-ნელა რჩება.

რით და როგორ უნდა მოუხმარო ავათმყოფს?

პირველათ საჭიროა, რომ ავათმყოფი დაწვეს ლოგინში რაც შეიძლება მალე. რაც უფრო დიდხანს რჩება ფეხზე, მით უფრო ეკარგება ღონე და უძნელდება ავათმყოფობის ატანა. განსაკუთრებით საჭიროა ეს ყმაწვილებისათვის: ისინი ძლიერ მალე სუსტდებიან, თუ მაშინათვე არ ჩააწვინეს ლოგინში. პირველ კვირეში საკმაოა აძლიონ ავათმყოფს რამე მჟავე სასმელი და დრო გამოშვებით, ადვან თავზე ბუშტი დანაყულის ყინულით, საჭიროა აგრეთვე ხარდალი (გარჩიჩნიკი) თავის კეფაზედ დაადონ,—ყველა ეს უნელებს თავის ტკივილსა. ძლიერ სასარგებლო და საჭიროა ავათმყოფის ტანის დაბანა ორჯერ დღეში ოთახში ნადგამის ძმრიანის წყლით, ეს უკარგავს სიცხეს და უსუფთავებს ტანს. თუ ავათმყოფს ნამეტანი სიცხე აქვს, საჭიროა მისი გამოხვევა სველს ზეწარში და ეგრეთ დატოვება საათის მეოთხედი, მეტი არა. თუ ავათმყოფი შეკრულია მუცელში უნდა დაალევინოთ ერთი კოვზი საფაღარათო ზეთი. ორი კვირის შემდეგ საჭიროა ავათმყოფს აძლიონ წვნიანი კვერცხის გულით და ერთი სტაქანი ღვინო. რძე უნდა ალევინონ ავათ გახდომისათანავე, თუ ფაღარათობა არა აქვს. ქინა-ქინა უნდა მიიღოს დღეში სამჯერ თვითო თვითო პარაშოკი (თვითო პარაშოკი 8 კ. ღირს).

ავათმყოფის მოვლა უმჯობესია მიანდოთ მისთანა კაცს, რომელსაც არა ერთხელ ჰქონია საქმე მაგნაირ ავათმყოფებთან, ან და თვითონ ყოფილა ავათ, რათგანაც ამ ნაირი პირები უფრო იშვიათად ხდებიან ხოლმე ავათ. როდესაც ავათმყოფი მომჯობინდება ცოტათ, საჭიროა იყვეს შესვენებული: არ უნდა იმუშაოს და ცუდ საჭმელს არ უნდა სჭამდეს.

თუ ავათმყოფი მოკვდა, ან და საავათმყოფოში გადიყვანეს, ამ შემთხვევაში საჭიროა კარგათ გაწმენდა იმ ოთახის, რომელშიაც ის იწვა. დოშაკი, თუ რომ ჩალისაა, უმჯობესია დაიწვას. ლოგინი დიდხანს უნდა დარჩეს (ЦИНКОВЫЙ КУПОРАСЪ-იან) წყალში, თვითონ ტახტი უნდა დაიმდუღროს ცხელი წყლით და წაესვას სკიპიდარით, იატაკი, თუ ხისაა, უნდა გაირეცხოს ჯერ ცხელის წყლით და შემდეგ „ЖЕЛѢЗНЫЙ КУПОРАСЪ"-ით; თუ მიწისაა იატაკი, სჯობს გადითხაროს. ტანისამოსი უნდა გამომდუღრონ, და იგი კი, რომლის გარეცხაც შეუძლებელია, სჯობია ჩაიდვას (ЦИНКОВЫЙ КУПОРОСЪ) წყალში. თვითონ ოთახში უნდა დასწვათ გოგირდი ჰაერის გასაწმენდათ, დაკეტოთ კარები და მიატოვოთ ერთი დღის ვადით მაინც, თუ ეს შესაძლებელია.

აი ის უბრალო, ყველასთვის მოსახერხებელი ზომები, რომელთა აღსრულება შეადგენს ყველა ჩვენთაგანის მოვალეობას, როგორც თავისის თავის გადასარჩენათ ავათმყოფობისაგან, აგრეთვე დასახმარებლათ იმ პირების, ვისიც მოვალეობაა, მოუღოს ბოლო სახადის განძლიერებას და მით დაიცვას საზოგადოება იმ უბედურებისაგან, რომელმაც, ჩვენის დაუდევნელობისაგამო, შესაძლებელია მოიტაცოს თვითონ ომზე უფრო მომეტებული მსხვერპლი.

ილია ბახტაძე.

სასამართლოს მატიანე

ზასულიჩის ქალის საქმე

(სიტყვა ზასულიჩის ვექილის ალექსანდროვისა)

(შემდეგი *)

იმისთანა საქმის მოხდენის აზრმა, რომელიც საზოგადო ყურადღებას მიაქცევს ბოგოლიუბოვის დასჯაზედ, სრულიად შეიპყრო ზასულიჩის გასურვებული გონება. ეგ აზრი ყველაზედ მეტად ეთანხმებოდა მის გულმტკივნეულობას, ყველაზედ მეტად უხდებოდა იმ გრძნობას, რომელიც აღელვებდა ზასულიჩსა. ბრალდებულობა ზასულიჩის მოქმედების მიზეზად შურის-ძიებასა ჰსდებს. შურის-ძიებასვე აბრალებდა თავის მოქმედებას თვითონ ზასულიჩიც. ხოლო მე არ შემიძლიან მისი მოქმედება ავხსნა შურის-ძიებით, იმ შურის-ძიებით მაინც, რომლის მნიშვნელობა შევიწროებულია. მე მგონია, რომ სიტყვა შურის-ძიება, ხმარებულია ზასულიჩის ჩვენებაში და შემდეგ ბრალდებულების ოქმშიაც როგორც სიტყვა უფრო მარ-

---

*) „ივერია" №№ 15, 16, 17, 18, 19. 1878 წ.

ტივი, მოკლე და ცოტაოდენად მოსახდენი იმ წადილისა და იმპულსის აღსანიშნავად, რომელიც წინ უძღოდა ზასულიჩსა. ხოლო შურის-ძიება, მარტო ერთი „შურის-ძიებაᲐ“ არ არის ᲬᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ სიტყვა ზასულიჩის მოქმედების შინაგანის მიზეზის გამოსაცნობლად. ჩვეულებრივს შურის-ძიებას წინ მიუძღვის ხოლმე პირადი ანგარიში, კაცი ჯავრს იყრის ან საკუთარ თავისას, ან მახლობლისას. ბოგოლიუბოვის საქმეში ზასულიჩს თავისი საკუთარი ანგარიში არავერისა არა ᲬᲥᲝᲜᲘᲐ; თვით ბოგოლიუბოვი არამც თუ მახლობელი, არამედ ნაცნობიც არ იყო. შურის-ძიება ცდილობს რაც შეიძლება მომეტებული ვნოს მტერსა; ზასულიჩმა კი, თუმცა ყრილობა დამბაჩა ღენერალ ადიუტანტს ტრეპოვს, მაგრამ აღიარა კი, რომ მისთვის სულ ერთი იყო დამბაჩა თავისას იქმს, თუ არა; დასასრულ, შურის-ძიება იმის ცდაშია, რომ თავისი განზრახვა აღისრულოს რაც შეიძლება მტირედის საფასურითა, შურის-ძიება მოქმედებს მაღულად,რამოდენადაც შესაძლოა მტირედის ᲐᲐᲐ-გამომეტებით. ზასულიჩის მოქმედებაში კი, რა თუალითაც უნდა გასინჯოთ, არ შეიძლება კაცმა არ დაინახოს არამც თუ გულ უბრუვილო, არამედ უანგარიშო თავის დადება. ეგრე არ გაიმეტებს ხოლმე კაცი თავის-თავის საკუთარის ჯავრის ამოყრისათვის. რასაკვირველია ზასულიჩს გულში ღენერალ ადიუტანტის ტრეპოვის სიკვდილ არ ᲬᲡᲓᲔᲑᲘᲐ; ისიც მართალია, რომ გულში ᲬᲥᲝᲜᲓᲐ ერთგვარი უკმაყოფილება მის წინააღმდეგ და ᲔᲒ უკმაყოფილება იყო მიზეზი ზასულიჩის საქციელისა. ზასულიჩის შურის-ძიებას თვითონ ტრეპოვი არავერად უნდოდა. მის შურის-ძიებას აწარმოებდა სულ სხვა გვარი წადილი. სიმართლით და კანონიერად დაᲬᲡᲯᲔᲡ ბოგოლიუბოვი თუ არა,—ეს ზასულიჩს ეგონა გამოუკვლეველად დარჩა და საუკუნოდ დავიწყებას მიეცა; საᲬᲘᲠᲝᲐ ამ საქმემ ხელახლად გაიღვიძოსო, საᲬᲘᲠᲝᲐ მტკიცედ და ხმა მაღლა ეს საქმე გამოვიკითხოთო. დამტირებული და შეგინებული კაცობრივი ღირსება ბოგოლიუბოვისა არ არის აღდგენილიო, ჩამოურეცხელიაო, გაუმართლებელია, გრძნობა შურის-ძიებისა არ არის დაკმაყოფილებულიო. სამემრისოდაც განმეორება ამ საამარცხვინო სასჯელისა საპოლიტიკო დანაშაულებზედ და ტუსაღებზედ შესაძლოდ ეჩვენა ზასულიჩს.

ზასულიჩმა იფიქრა, რომ ყოველს ამ საᲬᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ დაკმაყოფილებს ისეთი დანაშაულობა, რომელიც უეᲬᲕᲝᲓ შეკავშირებულ იქმნება ბოგოლიუბოვის დასჯის საქმესთან და რომელიც ნათლად დაანახვებს, რომ ეგ დანაშაულობა წარმოᲬᲡᲓᲒᲐ როგორც შედეგი 13 ივლისისა, როგორც პროტესტი, რომ საპოლიტიკო დამნაშავის კაცობრივი ღირსება შეგინებულ იქმნა. გამოსარᲩᲚᲔᲑᲐ ზნეობითის პატიოსნების და ღირსების იდეისა, მისი ხმა მაღლად აღიარება და მოწვევა სხვებისაც, რომ იგი იწამონ და აღიარონ,—აი ეს იყო წადილი, რომელიც წინ უძღოდა ზასულიჩს და ის დანაშაულობა, რომელიც ერთად დაკავშირებულ იქმნება ბოგოლიუბოვის საქმესთან, ზასულიჩს ეგონა დაკმაყოფილებს ჩემს წადილსაო. ზასულიჩს უნდოდა დანაშაულობა მოესდინა, თავისი საკუთარი თავი საᲛᲐᲠᲗᲚᲨᲘ მიეცა, რომ ამით ხელახლად წამომდგარიყო და გასინჯულიყო დაკიწყებული საქმე ბოგოლიუბოვის დასჯისა.

ზასულიჩი ᲬᲗᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ, რაცა განზრახულს დანაშაულს მოვახდენო, მაშინ მიურეებული საქმე ბოგოლიუბოვის დასჯისა ხელახლად წარმოდგებაო. ჩემი დანაშაულობა საქმეეუნოდ განიხილებაო და მთელი რუსეთი თავისის წარმომადგენელების პირით იძულებულ იქნებაო წარმოსთქვას თვისი განაჩენი არა მარტო ჩემის საქმის თაობაზედაო, იძულებული იქნება წარმოᲬᲡᲗᲥᲕᲐს მთელის ევროპის წინაშე, იმ ევროპის წინაშეო, რომელიც აქაოდე ბარბაროზთა სახელმწიფოს გვეძახისო, საცა მთავრობის ნიშნად მარტო „კნუტიაო.“

აი ამისთანა წადილით შეიმოსა განზრახვა ზასულიჩისა, ამისგამო სრულად მართალია ზასულიჩის ჩვენება, რომელზედაც იგი დღემდე მტკიცედ ᲬᲡᲓᲒᲐს, რომ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ სულ ერთი იყოვო მოკვდებოდა ვინმე ჩემის დამბაჩითა, თუ მხოლოდ დაიᲭრებოდაო. ჩემად დავუმატებ, რომ ზასულიჩის განზრახვისათვის სულ ერთი იქმნებოდა, თუნდ დამბაჩას ცხადად მიმართულს ტრეპოვზედ, ვრავისათვის არ ეკონა რა; სულ ერთი იყო თუნდ აᲬᲡᲪᲓᲔᲜᲝᲓᲐ, თუნდ არ გავარდნილიყო ზასულიჩი განა სიკვდილს საᲭᲘᲠᲝᲔᲑᲓᲐ ღენერალ ადიუტანტის ტრეპოვისას ან ტკივილის რისამე მიეᲬᲔᲑᲐს, არა,—მას უნდოდა აქ ბრალდებულთა სკამზედ გამოცხადებულიყო

ზასულიჩმა იფიქრა, რომ ყოველს ამ საᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐს დაკმაყოფილებს ისეთი დანაშაულობა, რომელიც უეᲬᲕᲝᲓ შეკავშირებულ იქმნება ბოგოლიუბოვის დასჯის საქმესთან და რომელიც ნათლად დაანახვებს, რომ ეგ დანაშაულობა წარმოᲬᲡᲓᲒᲐ როგორც შედეგი 13 ივლისისა, როგორც პროტესტი, რომ საპოლიტიკო დამნაშავის კაცობრივი ღირსება შეგინებულ იქმნა. გამოსარᲩᲚᲔᲑᲐ ზნეობითის პატიოსნების და ღირსების იდეისა, მისი ხმა მაღლად აღიარება და მოწვევა სხვებისაც, რომ იგი იწამონ და აღიარონ,—აი ეს იყო წადილი, რომელიც წინ უძღოდა ზასულიჩს და ის დანაშაულობა, რომელიც ერთად დაკავშირებულ იქმნება ბოგოლიუბოვის საქმესთან, ზასულიჩს ეგონა დაკმაყოფილებს ჩემს წადილსაო. ზასულიჩს უნდოდა დანაშაულობა მოესდინა, თავისი საკუთარი თავი საᲛᲐᲠᲗᲚᲨᲘ მიეცა, რომ ამით ხელახლად წამომდგარიყო და გასინჯულიყო დაკიწყებული საქმე ბოგოლიუბოვის დასჯისა.

ზასულიჩი ᲬᲗᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ, რაცა განზრახულს დანაშაულს მოვახდენო, მაშინ მიურეებული საქმე ბოგოლიუბოვის დასჯისა ხელახლად წარმოდგებაო. ჩემი დანაშაულობა საქმეეუნოდ განიხილებაო და მთელი რუსეთი თავისის წარმომადგენელების პირით იძულებულ იქნებაო წარმოᲬᲡᲗᲥᲕᲐს თვისი განაჩენი არა მარტო ჩემის საქმის თაობაზედაო, იძულებული იქნება წარმოᲬᲡᲗᲥᲕᲐს მთელის ევროპის წინაშე, იმ ევროპის წინაშეო, რომელიც აქაოდე ბარბაროზთა სახელმწიფოს გვეძახისო, საცა მთავრობის ნიშნად მარტო „კნუტიაო.“

აი ამისთანა წადილით შეიმოსა განზრახვა ზასულიჩისა, ამისგამო სრულად მართალია ზასულიჩის ჩვენება, რომელზედაც იგი დღემდე მტკიცედ ᲬᲡᲓᲒᲐს, რომ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ სულ ერთი იყოვო მოკვდებოდა ვინმე ჩემის დამბაჩითა, თუ მხოლოდ დაიᲭრებოდაო. ჩემად დავუმატებ, რომ ზასულიჩის განზრახვისათვის სულ ერთი იქმნებოდა, თუნდ დამბაჩას ცხადად მიმართულს ტრეპოვზედ, ვრავისათვის არ ეკონა რა; სულ ერთი იყო თუნდ აᲬᲡᲪᲓᲔᲜᲝᲓᲐ, თუნდ არ გავარდნილიყო ზასულიჩი განა სიკვდილს საᲭᲘᲠᲝᲔᲑᲓᲐ ღენერალ ადიუტანტის ტრეპოვისას ან ტკივილის რისამე მიეᲬᲔᲑᲐს, არა,—მას უნდოდა აქ ბრალდებულთა სკამზედ გამოცხადებულიყო

და მასთან ერთად გამოცხადებულ ყოფილიყო ბოგოლიუბოვის საქმეც.

ზასულიჩის გულში მოკვლისა, თუ დაჭრის განზრახვა ერთ ნაირად იყო. მისთვის მოკვლას არავითარი უპირატესობა არა ჰქონდა დაჭრის განზრახვაზედ. ამ გზით მოქმედებდა კიდეც იგი. მას არავითარი მეცადინეობა არ უხმარია, რომ ტყვიას უსათუოდ სიკვდილი მოეხდინა. ამისათვის არც კი უფიქრია. გინა არა, ისე ახლო იდგა ღენერალ ადიუტანტ ტრეპოვზედ, რომ ადვილად შეეძლო კარგად დაემიზნა და საქმე სიკვდილით გაეთავებინა. მაგრამ ზასულიჩმა ამოიღო ჯიბიდამ დამბაჩა და ესროლა ისე რომ არც მიზანში ამოუღია, არც აურჩევია ადგილი სად მიარტყას, ხელიც კი მაღლა არ აუღია. მართალია, ძალიან ახლო მანძილზედ ესროლა, მაგრამ სხვაფრივ რომ ვერ იმოქმედებდა! ღენერალ ადიუტანტს ტრეპოვს გარს ეხვია თავისი ამალა და ზასულიჩს რომ შორიდამ ესროლნა, ვინ იცის ვის მოხვდებოდა და სხვის ვნება ზასულიჩს არ უნდოდა. ისე კი ტყუილ-უბრალოდ დამბაჩის დაცლა ვერაფერი საქმე იქმნებოდა: მაგრიგად დაცლა იმ დრამას, რომელიც საჭირო იყო ზასულიჩისათვის, ხომ კამედიათ გადააქცევდა.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

ჩვენ რამდენჯერმე გვიუწყებია ჩვენთა მკითხველთათვის, რომ ჩვენი პატივცემული და დაუღალავი მშრომელი დ. ი. ჩუბინოვი ახალს ქართულ-რუსულ-ფრანციულს ლექსიკონს არდგენსო, უფრო სრულს და ვრცელსაო, ვიდრე აქამომდე იყო. ეხლა მოგვივიდა ცნობა, რომ ეს დიდი შრომა შეუმთავრებია და შეუსრულებია და 4-ს აპრილს წარუდგენია ხელნაწერად სამეცნიერო აკადემიაში. სამეცნიერო აკადემიის წერილებში 7-ს აპრილიდამ ჰსწერია ამ საგანზედ შემდეგი: „მას აქედ რაც აკადემიამ 1840-ს წ. დაჰბეჭდა ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი უფ. ჩუბინოვისა, და მიანიჭა დემიდოვის სრული ჯილდო, უფ. ჩუბინოვი შეუდგა მასალის შეკრებას უფრო სრულის და უფრო უკეთესის ქართულის ლექსიკონის შედგენისათვის. ამ ჟამად წარმოდგენილი მისგან შრომა არის ნაყოფი მისის ორმოცის წლის მეცადინეობისა. ავტორის სიტყვით, ახლად შედგენილ ლექსიკონში, რომელიც წინანდელზედ უფრო ვრცელია და უფრო განკარგებული, არის შემდეგი: 1) ახსნა ქართულ ლექსთა ქართულადვე და მისი თარგმანი რუსულად და ფრანციულად 2) ყოველს სიტყვასთან და ფრაზასთან ჩართულია ციტატა ძველთა და ახალთა წიგნთა და სიგელთაგან, რათა ცნობილ იქმნას ისტორია ყოველის სიტყვისა და მისი მნიშვნელობა როგორც ძველად ნაწერებში, ისე ახალს ენაში; 3) ყოველს ქართულს ზმნასთან ნაჩვენებია თვითოეული ფორმა ცალკედ, ახსნილია მისი მნიშვნელობა ქართულად და თარგმნილია რუსულად და ფრანციულად. 4) ამას გარდა ყოველს ფორმასთან ნაჩვენებია ძირეულნი დრონი და ცდომილნი ზმნანი და ჩამოთვლილია ის ნაწერები, რომელშიაც მაგგვარნი ზმნანი არიან ხმარებულნი.“

აკადემიას განუჩენია, რომ უფ. ჩუბინოვის ლექსიკონი გარდაეცეს აკადემიელს მ. ი. ბროსსეს განსახილველად.

დიდის სულ-სწრაფობით მოველით, რომ ეს ყოვლად სასარგებლო შრომა მალე იქმნას დაბეჭდილი. დიდი იმედია, რომ მაგ შრომას მთელი საქართველო დაიტაცებს. ჯერ ეხლაც, ჩვენ თვითონ გამოცდილებით ვიცით, რომ ბევრი მდომელია, არამც თუ იმ გვარის ლექსიკონისა, რომელიც ეხლა წარუდგენია პატივცემულს დ. ი. ჩუბინოვს, არამედ იმისიც, რომელიც წინად იყო დაბეჭდილი. თუ ეგრეა, გვეტყვის მკითხველი, რატომ უწინდელი დაბეჭდილი ლექსიკონი არ არის სრულად გაყიდულიო. აკადემიის წერილიდამ ჰსჩანს, რომ უწინდელი ლექსიკონი სულ ექვსას ეგზემპლიარად დაბეჭდილა და დღეს აქამომდე გაუსყიდავად დარჩომილა 114 ეგზემპლიარი. ჩვენის ფიქრით, ეგ აგრე არ მოხდებოდა, თუ რომ ლექსიკონის აუარებელთ მდომელთ ჰსცოდნოდათ სად და ვისთან იყიდებოდა ლექსიკონები. დღესაც ეგ არავინ იცის. აი ეს არის მიზეზი, რომ ის 114 ეგზემპლიარი დღეს აქამომდე დარჩომილა გაუსყიდავად.

ეს ახალი ლექსიკონი რომ დაიბეჭდოს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე გასაღდება, რადგანაც დიდი საჭიროებაა და ბევრი მდომელია, რომ მაგგვარი წიგნი იქონიოს.

— უფ. ალექ. ცაგარელს უთარგმნია რუსულად წიგნი სიბრძნე-სიცრუისა თქმული თ. საბა-სულხან ორბელიანისაგან და დაუბეჭდინებია პეტერბურგში ამ სათაურით: Книга Мудрости и лжи (грузинскія басни и сказки XVII—XVIII стол.) Саввы Сулхана Орбеліани.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ

ამით აცხადებს, რომ მეექვსე ტირაჟში, რომელიც იქმნა 11 მაისს 1878 წ., ამოვიდნენ შემდეგი ნომრები ამა ბანკის გირავნობის ფურცლისა.

I სერია

18 წლისა და შვიდის თვის კადისანი, ათ თუმნიანები: №№ 123, 62, 76, 107, 11, 110 და 51.

II სერია.

$54^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანები: № 51.
$27^1/_2$ წლ.ს კადისანი, ას თუმნიანები: №№ 56 და 108.

III სერია

$54^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანები: №№ 21 და 20.
$27^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანები: №№ 36, 34 და 82.
$27^1/_2$ წლის კადისანი, 50 თუმნიანი: №№ 20 და 142.

IV სერია.

$27^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანი: №№ 12 და 13.
$27^1/_2$ წლის კადისანი, 50 თუმნიანი: № 66.

V სერია.

$54^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანი: №№ 101, 166 და 44.
$27^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანი: №№ 17, 38, 44 და 35.

VI სერია.

$27^1/_2$ წლის კადისანი, ორმოც-და-ათ თუმნიანი: № 18.
$43^1/_2$ წლის კადისანი, ათ თუმნიანი: №№ 1 და 10.

თუმცა ამ გირაოს ფურცლებში ნაღდი ფული უნდა მიეცეს ამ წლის 1 მკათათვეს, მაგრამ ბანკის კასსას შეძლება აქვს ამ კადაზედ ადრეც დაურიგოს ფული, სოლო წლიურ 6% უკან გამოკა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

გამგეობა ზემოხსენებულის ბანკისა უმაღლესად დამტკიცებულის ამა ბანკის წესდების § 16 ძალითა ამით აცხადებს, რომ 22-ს თიბათვეს 1878 წ., შუადღისას, ქალაქს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ, კორღანოვის სახლში ისყიდება საჯაროს კაჭრობით უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა პირთა, რადგანაც მათ არ შემოუტანიათ ბანკიდამ აღებული კალის გადასახდელად კადის ფული, დაწესებული წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლითა.

სულხანოვები, გაბრიელ და მისაიდ—ოთხი დუქანი ეოველგვარის შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 36 ოთხ-კუთხე საჟ., ქ. ტფილისს, 2 განეოფილების 14 ნაწილში. კალის თავნია 5,281 მან., შემოსატანია ბანკში 342 მან. და 18 კაპ., სულ 5,623 მან. და 18 კაპ.

ბურდულოვისა, ალექსანდრა სოლომონის ასული—ორი დუქანი თავლით, ეოველგვარის შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 600 ოთხ-კუთხე საჟ., ქ. ტფილისს 2 განეოფილების 11 ნაწილში. კალის თავნია 2,880 მან და 55 კაპ. შემოსატანია ბანკში 183 მან. 68 კ. სულ 3,064 მან. და 23 კაპ.

სულხანოვისა, მარია ივანეს ასული ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-სამ სართულიანი დუქნები, ორი ორ სართულიანი და თერთმეტი თითო სართულიანი ქვითკირის დუქნები. ტფილისს ა) 1 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ხუდურეთში. ვალის თავნია 17,283 მან. და 27 კ. შემოსატანია ბანკში 973 მან. 25 კ. სულ 18,256 მან. 52 კ.

პავლიევი, იაკობ სემენის ძე—ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი სამოსამსახურო სახლი სარდაფით და მიწით, ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟ. თფილისს 1 განყოფილების 5 ნაწილში ნემენცების ქუჩაზე. ვალის თავნია 5,811 მ. და 74 კაპ. შემოსატანია 338 მან. და 10 კ., სულ 6,149 მ. და 84 კაპ.

ტერ-ზახაროვისა, მარია კონას ასული—ერთ-სართულიან ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 18 ოთხ-კუთხე საჟ., ტფილისს 2 განყოფილების 13 ნაწილში, ეჩმიაძინის ქუჩაზე. ვალის თავნია 195 მან. 27 კაპ. შემოსატანია ბანკში 35 მ. 18 კ. სულ 230 მ. და 55 კაპ.

ბაბოევი, სარქის მარტირუზას ძე—ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწით, ზომით 30 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 2 განყონყოფილების 13 ნაწილში. ვალის თავნია 293 მან. შემოსატანია ბანკში 30 მან. და 34 კაპ. სულ 3,223 მან. და 39 კ.

ბარათოვნი, კნ. იოსებ, გიორგი და კნეინა მარია ივანეს ძენი—მიწები 536 დესეტ. და 1,920 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში კომარდოს დაჩაზე (ბატარა რატევანი), ვალის თავნია 5,976 მან. 87 კ. შემოსატანია ბანკში 262 მან. და 48 კ., სულ 6,139 მან. და 35 კაპ.

თარხან-მოურავისა, კნეინა მარია ბიძინას ასული—მიწები 545 ოთხ-კუთხე საჟენი. ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სათუსარლოს დაჩაზე, ვალის თავნია 6,674 მან. და 10 კაპ. შემოსატანია 291 მან. და 23 კაპ. სულ 6,965 მან და 33 კაპ.

პირადოვი, მიხაილ არტემის ძე—ბალი ერთ-სართულიანის სახლით, მიწით, წყაროთი და ყოველგვარ კუთვნილებით, ზომით ბალის მიწა სიგრძით 135 საჟ., სიგანით 80 საჟ. ეზო და სახლის მიწა 250 ოთხ-კუთხე საჟ., ტფილისის გუბერნიის და მაზრის, სოფ. თფილისში. ვალის თავნია 400 მან. შემოსატანია ბანკში 26 მან. და 10 კაპ. სულ 426 მან. და 10 კაპ.

სტეფანოვი, გეურქა პავლეს ძე—ცარიელი მიწა, ზომით 300 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. ტფილისს, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე. ვალის თავნია 1,200 მან. შემისატანია ბანკში 66 მან. და 88 კაპ., სულ 1,266 მან. და 88 კაპ.

აივაზოვი, არტემა თადეოზის ძე—ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის ფლიგელით და სახლის ქვეშიწით, ზომით 413 ოთხ-კუთხე საჟ., ფლიგელის ქვეშ, ზომით 51 ოთხ-კუთხე საჟ. ვალის თავნია 2,000 მან. შემოსატანია 76 მან. და 70 კაპ. სულ 2,076 მან. 70 კაპ.

საყვარელიძისა, მინდორა ზურაბის ასული—მიწები, ზომით 25 დესეტინა და 600 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სოფლებ: ზეკარს, ცოცხნარს, ოდზისში და ზინდისში ვალის თავნია 500 მან. შემოსატანია 37 მან. და 20 კაპ. სულ 537 მანეთი და 20 კაპ.

ანდრონიკოვი, კნ. ზაქარია ივსეს ძე—მიწები, ზომით 15,000 დესეტინა ტფილისის გუბერნიის და მაზრის, სოფ. ლომბათაში. ვალის თავნია 59,768 მან. და 18 კაპ. შემოსატანია 2,063 მანეთი და 7 კაპ. სულ 61,831 მანეთი 25 კაპეიკი

ჭიჭინაძე, ეგნატე ნიკოლოზის ძე—ხუთი თითო სართულიანი ქვითკირის სახლები მიწით, ზომით 115 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 1 განყოფილების 1 ნაწილში, მოაწმინდაში. ვალის თავნია 677 მანეთი და 48 კაპ. შემოსატანია 67 მანეთი 42 კაპეიკი, სულ 739 მანეთი და 55 კაპეიკი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мая 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.